ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6325716

ნომერი: AR1948199

თარიღი : 07.02.2023

გაცემის თარიღი : 13.02.2023

გაცნობის თარიღი : 13.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 5 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი , ნაკვეთი 06/034;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ახვლედიანი პ/ნ 01005009901
- უნივერსიტეტის ქუჩა 24

ორგანიზაცია:

- შპს "ჩემი სახლი" კოდი: 400119073

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 7 თებერვალს №AR1948199 განცხადებით მომართა გოჩა ახვლედიანმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №5-ში; ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ნაკვეთი 06/034) მდებარე №01.14.06.006.159 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 6 თებერვლიდან 2024 წლის 26 აპრილის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანებაში არასწორად არის დაფიქსირებული საპროექტო ტერიტორიის მისამართი და საკადასტრო კოდი, კერძოდ „ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №5; ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა (ნაკვეთი 06/034), ს/კ: №01.14.06.006.159“, ნაცვლად დაფიქსირდა „ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა, N4, ს/კ: N 01.14.06.006.085“.

სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2023 წლის 10 იანვრის №AR1943213 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №5-ში; ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ნაკვეთი 06/034) მდებარე №01.14.06.006.159 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის მშენებლობის კალენდარული გრაფიკი 14 თვესა და 20 დღეზე. სამსახურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში საპროექტო ტერიტორიის მისამართი, და საკადასტრო კოდი არასწორად დაფიქსირდა. სამსხურმა, ასევე დაადგინა, რომ სამსხურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანებაში მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსრიდა, კერძოდ კალენდარული გრაფიკის შესაბამისად, მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრული „2023 წლის 6 თებერვლიდან 2024 წლის 26 აპრილის ჩათვლით“.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882022692547, მომზადების თარიღი: 22/09/2022 წ.) თანახმად, ზემოაღნიშნული საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი არის №01.14.06.006.159, ხოლო მისამართი - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №5; ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა (ნაკვეთი 06/034).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანებაში და:

1.1. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №5-ში; ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ნაკვეთი 06/034) მდებარე №01.14.06.006.159 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.“.

1.2. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 6 თებერვლიდან 2024 წლის 26 აპრილის ჩათვლით.“.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2023 წლის 6 თებერვლის №6315794 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7),

კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.